

ინოვაციის მხარდამჭერი ბანათლების სისტემა ევროკავშირში

ი. ბაბნიძე, ფ. ჯოჯოლაშვილი

1. შესავალი

ეკონომიკის გლობალიზაციამ თავისი ახალი გამოწვევებით ძალზე მცირე დროში შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი. ამ ახალ გარემოში ევროკავშირს ვერ იქნება კონკურენტუნარიანი თუ არ გახდება უფრო მეტად ორიენტირებული ინოვაციებზე, მომხმარებელთა მოთხოვნასა და საბაზრო უპირატესობების მოპოვებაზე.

უნივერსიტეტების პოტენციალი ძალიან დიდია. 4000 უნივერსიტეტში სწავლობს 19 მლნ სტუდენტი და მუშაობს 1.5 მლნ მკვლევარი. მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირს სრულად გამოიყენოს და განვითაროს ინოვაციური პოტენციალი და ამ მიზნით გააგრძელოს მხარდაჭერა უფრო დიდ, უფრო ეფექტიან და მიზანმიმართულ ინვესტიციებზე განათლებასა და პროფესიულ მომზადებაში. ინოვაციური განვითარებისთვის – პრობლემების გადასაჭრელად ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისა და დასაქმების ზრდის, აქტიური სამოქალაქო პოზიციის ჩამოყალიბებისა და სოციალური ინტეგრაციის გაძლიერების გზაზე ძალიან მნიშვნელოვანია ყველა მოქალაქის ცოდნისა და ვეგების განახლება და ადაპტაცია. ეს გათვალისწინებულია ლისაბონის სტრატეგიით და დარება პრიორიტეტად 2020 წლისთვის¹. ევროკავშირს მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ეს საკითხები მეორე პლანზე კი არ გადააქვს, არამედ პირიქით, მათი დახმარებით აპირებს კრიზისის დაძლევას.

ევროკომისიის საინოვაციო სტრატეგია გულისხმობს მთავრობათა საქმიანობის განხორციელებას ხუთი პრიორიტეტული მიმართულებით: ინოვაციური საქმიანობის სფეროში ადამიანთა შესაძლებლობების და უფლებების გაფართოება; ინოვაციური ფირმების მხარდაჭერა; ცოდნის შექმნა

¹ ლისაბონის სტრატეგიის შესახებ დეტალური ინფორმაცია ნახეთ წინამდებარე წიგნის პირველ თავში და მის დანართში. 2020 წლისთვის საინოვაციო სტრატეგიის გამოცხადება 2010 წლის შემოდგომისთვისაა გადატანილი. წინასწარი მონაცემებით იგი გააძლიერებს ლისაბონის სტრატეგიის ძირითად მიმართულებებს.

და მისი პრაქტიკული გამოყენება; სოციალური პრობლემების გადაჭრის მიზნით გადაწყვეტილებების შემუშავება; ინოვაციური საქმიანობის სფეროში მართვის პოლიტიკის გაუმჯობესება.

ადამიანთა შესაძლებლობების გასაფართოებლად უმნიშვნელოვანესია ევროპის თანამეგობრობის ქვეყნების პოლიტიკა განათლების სფეროში, რომელიც მთლიანად ეროვნული მთავრობების მიერ იმართება. გასაცემია პასუხები შემდეგ კითხვებზე: როგორი უნდა იყოს განათლების სისტემები მომავალში? განათლების სისტემების განვითარების თანამედროვე ტენდენციების მიხედვით განვითარების რა ვარიანტები შეიძლება ამოყალიბდეს მომავალში? როგორ იცვლება სტუდენტთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის განკუთვნილი სწავლების მოდელები სამეცნიერო მიღწევების და ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით? რა უნდა ვიცოდეთ განათლების შედეგების ეფექტიანად გამოყენების შესახებ?

ეკონომიკაში საინოვაციო პროცესების უზრუნველყოფა მოითხოვს თვითონ განათლების სისტემის ინოვაციურ გარდაქმნას – როგორც ტექნოლოგიურს, ასევე სისტემურს.

სისტემური ინოვაციები განათლებაში შეიძლება განისაზღვროს, როგორც ისეთი სისტემური ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებენ საგანმანათლებლო პროცესის და მისი შედეგების ღირებულების გაზრდას. ტერმინი „სისტემური“ არ ნიშნავს, რომ განათლების მთლიანი სისტემა უნდა შეიცვალოს. ინოვაციური საქმიანობა განათლებაში მიმართულია იქით, თუ როგორ შეიქმნას ცოდნის ბაზა, განისაზღვროს ცოდნის მიღების პროცედურები და პროგრესის შეფასების კრიტერიუმები. ამ მიდგომით, განათლების სფეროში ინოვაციური საქმიანობის სისტემური ანალიზისას, ყურადღება ექცევა შემდეგ საკითხებს: ინოვაციების კონცეპტუალიზაცია; ინოვაციური დინამიკა ცოდნის მართვის თავლსაზრისით; საინოვაციო პოლიტიკა და მისი კონტექსტი; ინოვაციის მა ვენებლები.²

² Istance, David and Shadoian, Vanessa. Innovating education. OECD Centre for Educational Research and Innovation, OECD Observer, 12-Mar-2009. (http://www.oecdobserver.org/news/fullstory.php/aid/2785/Innovating_education.html)

ეკონომიკის საინოვაციო გზით განვითარებისთვის საჭიროა საგანმანათლებლო სივრცეში ისეთი ღონისძიებების ატარება, როგორცაა: სტუდენტთა მობილობის (გაცვლის) წახალისება, სწავლების ერთიანი საერთოევროპული პროგრამების შემუშავება, სწავლების ერთიანი ქსელის შექმნა და ევროკავშირის ენების შესწავლა.

ასევე მნიშვნელოვანია, საინოვაციო განვითარების საკითხებში მოსახლეობის გაათვითცნობიერების ღონის ამადლება, რათა მას პოლიტიკური მხარდაჭერა ჰქონდეს და საერთოდ, იყოს საყოველთაო ფასეულობების ნაწილი. ეს უწყვეტი განათლების ამოცანაა. ამასვე ემსახურება ისეთი ღონისძიება, როგორცაა 2009 წლის გამოცხადება ევროპაში კრეატიულობისა (შემოქმედებითობის) და ინოვაციის წლად³. ინფორმაციის მიწოდებისა და დისკუსიების ხელშეწყობის მიზნით ატარდა ღონისძიებები შემოქმედებითობისა და ინოვაციების მნიშვნელობის შესახებ.

ამერიკასა და იაპონისთან შედარებით ევროკავშირის ქვეყნების განათლებისა და კვლევის სისტემები, უფრო ცოდნის მოპოვებასა და გავრცელებაზე იყო ორიენტირებული, ვიდრე მის პრაქტიკულ გამოყენებაზე. განათლების სისტემის ამოცანაა ადამიანების ისეთი მომზადება და გადამზადება, რათა აღმოიფხვრას ეს ნაკლოვანება.

2. ევროკავშირის წინაშე მდგარი გამოწვევები და განათლების ერთიანი სივრცის შექმნა. განათლებისა და გადამზადების სისტემა

2.1. განათლების ერთიანი სივრცის შექმნის აუცილებლობა

ევროპა მეცნიერთა კადრების უკმარისობას განიცდის და, არსებულ ვითარებაში, არც გარედან შეუძლია საკმარისი რაოდენობით კვალიფიციური კადრების მოზიდვა, რადგან ევროკავშირი მშპ-დან უფრო ნაკლებ წილს ხარჯავს კვლევებში ინვესტირებისთვის, ვიდრე მისი კონკურენტები. მაგალითად, ევროკავშირი კვლევასა და შემუშავებაზე ხარჯავს მშპ-ის 1.96%-ს, აშშ – 2.5%-ს, იაპონია – 3.12%-ს. ამას ემატება ევროპაში ადამიანების, მათ

³ http://www.create2009.europa.eu/about_the_year.html.

შორის მკვლევართა მობილობის უკმარისობა, რაც საჭიროების შემთხვევაში კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილზე სამეცნიერო ძალების საკმაოდ კონცენტრაციის შექმნასა და კვლევის თემატიკის დინამიურ ცვლას ხელს უშლის. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. 1. ევროპელების მენტალობასთანაა დაკავშირებული - გაერთიანებულ ევროპაში მოსახლეობის არაუმეტეს 5%-სა ცხოვრობს მშობლიური ქვეყნის გარეთ. 2. ევროკავშირში ენების მრავალფეროვნება ქმნის ენობრივ ბარიერს.

მდგომარეობის გამოსწორება შეუძლია განათლების სისტემას, უცხო ენების ადრეული ასაკიდან შესწავლის, ასევე სტუდენტების გაცვლის ინტენსიურობის გაზრდის და შემდგომში უწყვეტი განათლების გზით. რადგან არსებული განათლებისა და კადრების გადამზადების სისტემა ვერ უზრუნველყოფდა კვლევების შედეგების ინოვაციურ პროდუქტად ან მომსახურებად გარდაქმნას, განახლებულმა განათლების სისტემამ, სხვა საერთოევროპულ და ეროვნულ ღონისძიებებთან ერთად, უნდა გამოასწოროს მდგომარეობა და გაზარდოს ევროკავშირის კონკურენტუნარიანობა.

მობილობის ზრდისთვის აუცილებელია ეროვნული სასწავლო პროგრამების თავსებადობა (რაც არ ნიშნავს ერთფეროვნებას), საკვალიფიკაციო მოთხოვნების ერთგვაროვნება და სხვა. ასეთი პირობების შექმნა ნიშნავს *განათლების ერთიანი სივრცის* შექმნას, რაც განათლების სფეროში ევროკავშირის ქვეყნების ურთიერთშეთანხმებული ვალდებულებების ერთობლიობის არსებობას გულისხმობს.

განათლების ერთიანი სივრცის ფორმირება *ბოლონიის პროცესისა და ლისაბონის სტრატეგიის* ნაწილია.

2.2. ბოლონიის პროცესი

1999 წლის ივნისში, 29 ქვეყანამ (მათ შორის ევროკავშირის 15 წევრი სახელმწიფო) ხელი მოაწერა შეთანხმებას ერთიანი განათლების სივრცის შექმნის შესახებ, რომელიც ცნობილია „ბოლონიის დეკლარაციის“ სახელწოდებით. 2004 წელს ამ კავშირს დაემატა კიდევ 10 ქვეყანა, შემდეგ კი დსთ-ს სახელმწიფოები. 2005 წელს ბოლონიის დეკლარაციაზე ხელმომწერ

წევრთა რაოდენობა უკვე 45-ს შეადგენდა. მათ შორის იყო საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა და უკრაინა. 2007 წელს მათი რიცხვი 47-მდე გაიზარდა⁴.

ბოლონის დეკლარაცია მოიცავდა უმაღლესი განათლების ექვს ძირითად მიმართულებას:

- იოლად გასაგები და შესადარებელი აკადემიური ხარისხების სისტემის შემოღება;
- 2-საფეხურიანი განათლების სისტემის შემოღება, რაც გულისხმობს დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი საფეხურების არსებობას.
- კრედიტების სისტემის (კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის ECTS) შემოღება;
- მობილობის გაზრდა სტუდენტების, მასწავლებლებისა და მეცნიერების თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობის გზით;
- ხარისხის უზრუნველყოფის საკითხში ევროპული თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- უმაღლეს განათლებაში აუცილებელი ევროპული სტანდარტების დანერგვა;
- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, სასწავლებლებს შორის თანამშრომლობა, მობილობის სქემებისა და სწავლების, წვრთნისა და კვლევების ინტეგრირებული პროგრამების შექმნა.

ბოლონის დეკლარაციის მიხედვით ევროპა შეძლებდა თავისი უმთავრესი მიზნის მიღწევას – უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის დამკვიდრებას და მთელ მსოფლიოში ევროპული უმაღლესი განათლების სისტემის პოპულარიზაციას. ერთიანი აკადემიური სისტემის შემოღება გულისხმობდა: ევროპის მოქალაქეების დასაქმებასა და ევროპული უმაღლესი განათლების სისტემის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას; განათლების ორსაფეხურიანი სისტემის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა სამწლიანი კურსის წარმატებით დასრულება ბაკალავრის ხარისხით (რაც ევროპული შრომის ბაზრისთვის მოამზადებდა კადრებს, მეორე საფეხური გულისხმობდა

⁴ Bologna Process. (<http://www.ond.vlaanderen.be/hogeronderwijs/bologna>)

(როგორც ეს მიღებულია ევროპის ბევრ ქვეყანაში) მაგისტრის ხარისხის მიღებას; მესამე საფეხური დოქტორის ხარისხის მინიჭებით დასრულდებოდა; კრედიტების ევროპული სისტემის (ECTS) შემოღება მოქალაქეებს უმაღლესი განათლების სხვადასხვა ქვეყანაში მიღების საშუალებას მისცემდა; იგი, ასევე, უმაღლესი განათლების ფარგლებს გარეთაც იმოქმედებდა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ათვლით, იმ პირობით, თუ მათ შესაბამისი უნივერსიტეტები აღიარებენ; სტუდენტებისთვის, პროფესორებისა და მეცნიერებისთვის თავისუფალი გადაადგილების ბარიერების მოხნას, რაც ხელს შეუწყობდა მასწავლებლების, მეცნიერებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ევროპულ სივრცეში კვლევებზე, პედაგოგიურ მოღვაწეობასა და წრთვანაზე დახარჯული პერიოდის აღიარებას და ცნობას, მათთვის კანონით დადგენილი უფლებების დაცვით; უმაღლეს სასწავლებლებს შორის თანამშრომლობას, მობილობის სქემებისა და სწავლების, წვრთნისა და კვლევების ინტეგრირებული პროგრამების შექმნას.

2000 წლიდან დაწყებული ევროკავშირის მონაწილე სახელმწიფოებმა დაიწყეს განათლების სფეროში 13 კონკრეტული მიმართულებით ერთობლივი მუშაობა. ამ პროგრამას ეწოდა „განათლება და სწავლება 2010“. სწავლების სპეციალიზებული ღონისძიებების წყალობით 27 მონაწილე ქვეყანამ შეძლო განათლების სფეროში მოწინავე პრაქტიკის ურთიერთგაზიარება, წარმატების საკვანძო მაჩვენებლების ერთობლივად განსაზღვრა და საერთო გამოწვევებზე ურთიერთშეთანხმება.

2.3. ლისაბონის სტრატეგია განათლების სფეროში

უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის მასშტაბების გაფართოებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი ლისაბონის სტრატეგიის შემუშავებამ. ლისაბონის სტრატეგია ანუ ლისაბონის პროცესი, როგორც მას უწოდებენ, გულისხმობს ევროკავშირის ქვეყნების ერთობლივი განვითარების გეგმას 2000-დან 2010 წლების შუალედში. მისი მიზანია 2010 წლისთვის „ევროპა გამხდარიყო ყველაზე დინამიური და კონკურენტუნარიანი, ცოდნის ეკონომიკაზე დაფუძნებული სისტემა მსოფლიოში“. ამ ყოველივეს უნდა უზრუნველყო მდგრადი ეკონომიკური ზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა და

მეტი სოციალური დაცულობა. ეს გეგმა ევროკომისიამ მიიღო ლისაბონში, 2000 წლის მარტში.

ლისაბონის სტრატეგიაში აღნიშნული იყო, რომ: „ადამიანებში ინვესტირებამ უნდა განსაზღვროს ევროპის ადგილი ცოდნის ეკონომიკაში და უზრუნველყოს, რომ უმუშევრობა, სოციალური გათიშულობა და სიღარიბე არ იყოს ამ ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი“. ლისაბონის სტრატეგიის გათვალისწინებით წევრ-ქვეყნებს, ევროგაერთიანების საბჭოსთან და კომისიასთან ერთად უნდა განეხორციელებინა:

- მოსახლეობის ერთ სულზე ადამიანურ რესურსში ინვესტირების გაზრდა;
- 18-24 წლის ასაკის, არასრული საშუალო განათლების მქონე იმ პირთა რიცხვის განახევრება, ვინც არ იმყოფება შემდგომი სწავლისა და გადამზადების პროცესში;
- სკოლებს, მომზადების ცენტრებს, ფირმებსა და კვლევით ორგანიზაციებს შორის სასწავლო პარტნიორობის ამოყალიბება;
- უწყვეტი განათლების (Lifelong Learning - LLL) გზით მისაწოდებელი საბაზო უნარების დადგენა: საინფორმაციო ტექნოლოგიები, უცხო ენები, ტექნოლოგიური კულტურა, სამეწარმეო უნარები, სოციალური უნარები. საინფორმაციო ტექნოლოგიების საწყისის დამადასტურებელი ერთიანი ევროპული დიპლომის შემოღება, როგორც ციფრული წერა-კითხვის ცოდნის გავრცელების მექანიზმი;
- სტუდენტების, მასწავლებლებისა და მკვლევარების მობილობის ასამაღლებელი ღონისძიებების შემუშავება, როგორც არსებული ევროპული პროგრამების მეშვეობით (Socrates, Leonardo, Youth)⁵, ასევე კვალიფიკაციის, სწავლებისა და გადამზადების პროცესებში შეფერხებების აცილების გზით;
- ლუქსემბურგისა და კარდიფის⁶ პროცესების შესაბამისად განათლების სისტემის მომავალი მიზნების ჩამოყალიბება“.

⁵ Leonardo და Youth პროგრამები აქამადაც მოქმედებენ (ec.europa.eu/education/index_en.htm), Socrates – დასრულებულია.

⁶ იგულისხმება 1997 წლის ლუქსემბურგის და 1998 წლის კარდიფის სამიტები, რომლებიც ევროპულ დასაქმების სტრატეგიას (European Employment Strategy) იხილავდნენ (<http://www.eu-employment-observatory.net/en/ees/>).

ლისაბონის 2000 წლის მარტის სამიტის ამოცანა განათლების პოლიტიკის სფეროში, ერთიანი „კონკრეტული მიზნების“ განსაზღვრა იყო. ამ მიზნების განსაზღვრას საფუძვლად ედო კონცეფცია, რომლის თანახმად ადამიანებისთვის, რომლებიც გამოდიან შრომის ბაზარზე, აუცილებელია განათლების დონის ამაღლება. საჭიროა ერთიან ევროპულ დონეზე არსებული ეროვნული სასწავლო და კვლევითი პროგრამების ქსელის გამოყენებით სწავლების და კვლევის კოორდინირება. ეს ხელს შეუწყობდა ლისაბონის სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტის - სამუშაო ადგილების შექმნას და კვალიფიციური კადრების მომზადებას, ევროპის სამეცნიერო პოტენციალის განმტკიცებას და ენების შესწავლის წახალისებას. ამიტომაც ლისაბონის სტრატეგია მთლიანად შეესაბამება და თავსებადია ბოლონიის პროცესის პრიორიტეტებთან.

ევროკომისია მიისწრაფვის წახალისოს მონაწილე სახელმწიფოები ორი ფორმით: მიზნების განსაზღვრის პროცესში მონაწილე ქვეყნების პოზიციების გათვალისწინებითა და ერთობლივი დისკუსიების სტიმულირებით განათლების ისეთ საკითხებზე, რომლებიც ერთობლივ ინტერესს წარმოადგენს, რაც შეეხება მიზნების განსაზღვრას, მონაწილე სახელმწიფოები 2003 წლის მაისში საბჭოზე შეთანხმდნენ განათლებისა და სწავლების ამოსავალი (ეტალონური) დონეების შესახებ. ისინი მოითხოვდნენ, რომ 2010 წლისთვის მიღწეული ყოფილიყო შემდეგი:

- მოსწავლეთა არა უმეტეს 10%-ს დაეტოვებინა სკოლა სავალდებულო საშუალო განათლების დამთავრებამდე.
- უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა შორის მათემატიკის, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური სპეციალობების კურსდამთავრებულთა რიცხვი გაზრდილიყო 15%-მდე მაინც, ასევე გაზრდილიყო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა შორის საერთო რაოდენობაში გოგონათა წილი;
- 22 წლამდე ახალგაზრდების არანაკლებ 85%-ს ჰქონოდა სრული საშუალო განათლება.
- წერა-კითხვის უცოდინარი 15 წლის მოზარდების რაოდენობა 2000 წლის დონესთან შედარებით უნდა შემცირებულიყო არა ნაკლებ 20%-ისა.

- 25-64 წლის მოქალაქეთა მთელი ცხოვრების მანძილზე საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა უნდა ყოფილიყო 87.5%

ძირითადი მიზნების ფორმირების შემდეგ განხორციელდა რიგი შეხვედრები: პრაღაში (2001 წ. – პრაღის კომუნიკე), ბერლინში (2003 წ. - ბერლინის კომუნიკე), ბერგენში (2005 წ. - ბერგენის კომუნიკე), ლონდონში (2007 წ. - ლონდონის კომუნიკე) და ლოუვენში (2009 წ. - ახალი კომუნიკე). ამ შეხვედრათა მიზანი იყო ლისაბონის სტრატეგიის ძირითადი ელემენტების ცვლილება-კორექტირება.

კერძოდ, პრაღის კომუნიკე პრაქტიკულად ორიენტირებული იყო ეროვნულ მოსხენებებზე. შეხვედრაზე განათლების მინისტრებმა გადაწყვიტეს, რომ ბოლონის პროცესის სადამფუძნებლო ჯგუფს წარმოედგინა შემდგომი განვითარების მიმართულებები. ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციამ (EAU), უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ევროპულმა ასოციაციამ (EURASHE), ევროპის სტუდენტთა კავშირის (ESU) წარმომადგენლებმა. პრაღის კომუნიკემ ყურადღება გაამახვილა ბოლონის პროცესის სამ ელემენტზე: უწყვეტი განათლების სისტემის განვითარებაზე; ამ პროცესებში სტუდენტთა და უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ართვაზე; უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ფორმირების სტიმულირებაზე.

ბერლინის კომუნიკემ ბოლონის პროცესის პრიორიტეტები კიდევ დაყო დამატებით რამდენიმე მიმართულებად:

- განათლების ეროვნული, ინსტიტუციონალური და ევროპული დონეების სიმედო განვითარება;
- განათლების ორეტაპიანი სისტემის წახალისება;
- სწავლების დონის და ხარისხის აღიარება ყველა ქვეყანაში, ხოლო 2005 წლისთვის სამეცნიერო ხარისხის აღიარებაც;
- ევროპის უმაღლესი განათლების სივრცისთვის კვალიფიკაციების სტრუქტურის შემუშავება;
- განათლების პროცესში ევროპის უმაღლესი განათლების სივრცესა და ევროპულ კვლევით სივრცეს შორის კავშირების წახალისება.

შემდგომ შეხვედრებზე იხილებოდა: განათლების სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება; ისეთი ეროვნული კვალიფიკაციის სტრუქტურების შემუშავება და არ იქნებოდა განსაზღვრა, რომელიც თავსებადი იქნებოდა ევროპული ერთიანი განათლების სივრცის ამოცანებთან; უმაღლესი განათლების შემდგომი სწავლების შესაძლებლობების შექმნა და სხვა.

ყოველწლიურად ევროკავშირში იმართება „განათლების საკითხებზე საბჭოს“⁷ სამჯერადი სხდომები. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება პროფესიული განათლებისა და კადრების გადამზადების მინისტრების შეხვედრები. ამ შეხვედრების მიზანია უმაღლესი განათლების, პროფესიული სწავლებისა და კადრების მომზადების სპეციალიზებული ქსელების, ან კლასტერების შექმნა პროგრამა „სწავლება და განათლება 2010“⁸-ის ფარგლებში. ქსელის ან კლასტერების შექმნა ისეთ სფეროებში, ისეთი ძირითადი კომპეტენციების მიხედვით, როგორცაა უცხო ენების შესწავლა, ან ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება⁹.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 2006 წლის ბრიუსელის შეხვედრა. შეხვედრაზე აღინიშნა მიუხედავად იმისა, რომ ევროპის უნივერსიტეტებში ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი სწავლობს, განათლების ევროპული სისტემა წინააღმდეგობრივია. უნივერსიტეტებმა მთავარი როლი უნდა შეასრულონ ცოდნაზე ორიენტირებული ეკონომიკის შექმნაში. ამისთვის საჭიროა სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის სფეროებში მოწინავე გამოცდილების გაზიარება და გავრცელება უნივერსიტეტებს შორის. განათლების სისტემის რეორგანიზაციის მიმართულებით აუცილებელია უნივერსიტეტების მოდერნიზაციის საკითხების განხილვა. აუცილებელია ცვლილებების გატარება 9 სფეროში: სტუდენტებმა ერთი სემესტრი მაინც უნდა ისწავლონ უცხოურ უნივერსიტეტებში; სტუდენტებს სწავლისა თუ კვლევების ატარებისას უნდა ჰქონდეთ ეროვნული სესხებითა და გრანტებით სარგებლობის უფლება; აკადემიური კვალიფიკაციების აღიარება და პროფესიული კვალიფიკაციების შესაბამისობა; ორიენტირება კურსებზე, რაც

⁷ " საბჭო განათლების საკითხებზე"

⁸ პროგრამის "სწავლება და განათლება 2010

⁹ "Supply-side reforms in Europe: Can the Lisbon Strategy be repaired?". Swedish Economic Policy Review, 2006

საშუალებას იძლევა სწავლის და გადამზადების პროცესებში მიიღონ მონაწილეობა ადამიანებმა მოზრდილ ასაკში; უნივერსიტეტების ფინანსირების სისტემის განახლება, რომელიც შედეგებზე იქნება ორიენტირებული; უნივერსიტეტების დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გაფართოება, სასწავლო პროგრამების ადაპტაცია ახალ მიღწევებთან, რაც გააფართოვებს კავშირს დისციპლინებს შორის; განსაკუთრებული ავტონომია მიენიჭოს უნივერსიტეტებს პედაგოგიური და კვლევითი პერსონალის შერევაში. ევროკომისია მზადაა აღმოუჩინოს დახმარება ევროკავშირის წევრი ქვეყნების უნივერსიტეტებს გამოცდილების გაზიარებაში. აგრეთვე განათლების სფეროს პროგრამების, სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების სფეროებში.

ამჟამად მიიჩნევა, რომ არ ხდება ევროკავშირის უნივერსიტეტების პოტენციალის სრული გამოყენება¹⁰. ევროპის უნივერსიტეტების პრობლემა თანამედროვე ეტაპზე მდგომარეობს შემდეგში: ევროპის უმაღლესი განათლების სისტემა დანაწევრებულია ეროვნულ სისტემებად და ქვესისტემებად. მათ არ გააჩნიათ ეფექტიანი კავშირები და კონტაქტები; ეროვნული ნორმატივები ზედმეტად დეტალურია, რაც ამცირებს უნივერსიტეტების ოპერატიულობას სწავლების და განათლების ახალი მოთხოვნების კვალდაკვალ; ამასთანავე უნივერსიტეტების ფინანსირება, მათ ძირითად კონკურენტებთან შედარებით, არის დაბალი. აღნიშნულთან დაკავშირებით ევროკომისია იძლევა შემდეგ რეკომენდაციებს:

1. უნდა მოიშალოს ბარიერები ევროპის უნივერსიტეტებს შორის. ამისათვის საჭიროა 2010 წლისთვის შესრულდეს ყველა ის პირობა, რაც ბოლონის პროცესით იყო განსაზღვრული. კერძოდ: ა) უნდა შეიქმნას **BA ??** და **??MA**-უნივერსიტეტული სტრუქტურები; ბ) ყველა დონეზე უნდა შეიქმნას მოქნილი სასწავლო პროგრამები; გ) უნდა შემუშავდეს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის საიმედო სისტემები.

2. უნივერსიტეტებს უნდა ჰქონდეს რეალური ავტონომია და პასუხისმგებლობა. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ მხოლოდ საერთო წესები, პოლიტიკური მიზნები უმაღლესი განათლების სფეროში. უნივერსიტეტები უნდა იყონ დამოუკიდებლები, რათა განსაზღვრონ საკუთარი

¹⁰ <http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?>
Frequently Asked Questions : why European higher education systems must be modernised ?

მისია, პრიორიტეტები, პროგრამები სასწავლო, კვლევითი და ინოვაციური მიმართულებით.

3. უნდა შეიქმნას სტიმული მრეწველობასთან პარტნიორული ურთიერთობებისა და ბიზნეს-თანამშრომლობის. წევრმა-სახელმწიფოებმა უნდა აღმოუჩინონ უნივერსიტეტებს მხარდაჭერა, რათა მათ შეიმუშავონ ეფექტიანი სტიმულირების მექანიზმი ცოდნის გამოყენებისა და შედეგების გავრცელების მიმართულებით. უნივერსიტეტებს უნდა გააჩნდეთ გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობები ბიზნეს-საზოგადოებებთან. მაგალითად, უნდა შეიქმნას „ცოდნის შექმნის და გადაცემის ჯგუფი“¹¹.

4. უნდა გაიზარდოს დაფინანსება. უმაღლესი განათლების დაფინანსების ხარჯები არ უნდა იყოს მშპ-ის 2%-ზე ნაკლები, წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსიტეტები ვერ შეძლებენ მაქსიმალური წვლილის შეტანას ლისაბონის სტრატეგიით განსაზღვრული ეკონომიკური ზრდის განხორციელებაში. ფინანსირების რაც შეიძლება დიდი წილი უნდა მოდიოდეს არასახელმწიფო ხარჯებიდან.

5. და, რაც მთავარია, ევროპული უმაღლესი განათლების სისტემა უნდა გახდეს უფრო მნიშვნელოვანი და მიმზიდველი მსოფლიოსთვის¹².

ევროსაბჭომ, ევროკავშირის 2009 წლის 12 მაისის სხდომაზე განიხილა წევრი ქვეყნების განათლების სფეროს რეფორმირების საკითხები და კიდევ უფრო დააკონკრეტა ის ძირითადი პრობლემები, რაც საერთოა ამ ქვეყნებისთვის. კერძოდ, სამუშაო ძალის მოთხოვნა, რაც დღის წესრიგში აყენებს პროფესიული მომზადების აუცილებლობას და ხარისხს. გასათვალისწინებელია მოსახლეობის დაბერების პროცესიც და სულ უფრო და უფრო გამძაფრებული კონკურენცია¹³, რაც უწყვეტი სწავლების ქსელის შექმნასა და გაძლიერებას თხოულობს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროსაბჭომ განათლებისა და კადრების მომზადების სფეროში 2020 წლისთვის განსაზღვრა ოთხი ძირითადი სტრატეგიული მიზანი: მობილურობა და უწყვეტი სწავლების უზრუნველყოფა; განათლების ეფექტიანობისა და პროფესიული მომზადების ხარისხის ამაღლება; სოციალური დაცვისა და

¹¹ <http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference>

¹² http://ec.europa.eu/public_opinion/flash/fl198_sum_en.pdf, Perceptions of Higher Education Reforms, March. 2007

¹³ European Commission: European strategy and co-operation in education and training (http://ec.europa.eu/education/lifelong-learning-policy/doc28_en.htm)

მოქალაქეობრივი აქტივობის სტიმულირება; შემოქმედებითი და ინოვაციური საქმიანობის, მათ შორის სამეწარმეო საქმიანობის განვითარება, განათლებისა და კადრების მომზადების ყველა საფეხურზე. ევროსაბჭომ განსაზღვრა განათლების სფეროს განვითარების შედეგების შეფასების განახლებული კრიტერიუმები¹⁴.

2.5. პროფესიული მომზადებისა და უმაღლესი განათლების სფეროს

პროგრამები

კადრების მომზადებისა და განათლების სისტემის რეფორმირების საკითხები განსაკუთრებით აქტუალური გახდა გლობალიზაციის პირობებში. მართალია ცალკეული ქვეყნების მთავრობებს გააჩნიათ პასუხისმგებლობა განათლების საკითხებზე, მაგრამ არსებობს რიგი საერთო პრობლემებიც: საზოგადოების დაბერება, სამუშაო ძალის დეფიციტი, გლობალური კონკურენცია. აღნიშნული პრობლემების გადაჭრაში მთავარი როლი განათლების და გადამზადების ეფექტიანმა სისტემამ უნდა შეასრულოს. ხარისხიანი პროფესიული და უმაღლესი განათლება, უწყვეტი განათლების ქსელის შექმნა, უნდა გახდეს სამუშაო ადგილების ზრდის გარანტი, მან უნდა უზრუნველყოს თითოეული პიროვნების შესაძლებლობების ართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ურთიერთანამშრომლობის პროგრამებმა რამდენიმე საფეხური მოიცვა: გაცვლითი პროგრამები სკოლებისთვის, პროფესიული განათლების სფეროსთვის, უნივერსიტეტებისთვის და დამატებით კიდევ ზრდასრულთა უწყვეტი განათლების ქსელის შექმნა. გაცვლით პროგრამებს სკოლებისთვის ვენ არ განვიხილავთ.

ევროკავშირს, წევრ ქვეყნებში სწავლებისა და განათლების სისტემის ღიაობისა და ხარისხის ამაღლების მიმართულებით, შემდეგი ინსტრუმენტები გააჩნია: პირველი – პოლიტიკური ინსტრუმენტების ნაკრები, რომლის მეშვეობით წევრ ქვეყნებს სთავაზობენ სრულყოფილ განათლების საკუთარი სისტემა და გაითვალისწინონ ერთმანეთის წარმატება და გამოცდილება; მეორე – სტუდენტთა და მასწავლებელთა გაცვლის მხარდაჭერის

¹⁴ A Strategic Framework for European Cooperation in Education and Training (ET 2020)

პროგრამები, სასწავლო ცენტრებს, უნივერსიტეტებსა და სკოლებს შორის ერთობლივი სწავლების მხარდაჭერის პროგრამები.

პროფესიული განათლების და კადრების მომზადების პროგრამას აღორძინების ეპოქის უდიდესი მხატვრის, მეცნიერისა და გამომგონებლის, ლეონარდო და ვინჩის საპატივცემულოდ დაერქვა სახელი - **Leonardo da Vinci Programme**¹⁵. ეს პროგრამა ეხმარება იმ ადამიანებს, ვისაც სურთ თავისი კომპეტენციის გაზრდა, ცოდნის სრულყოფა და კვალიფიციური სრულყოფა. ინოვაციური პროექტები, რომელიც ყოველთვის იყო ამ პროექტის მთავარი ამოცანა, გულისხმობს ნოვატორული სტრატეგიების გაცვლას. პროგრამა ყოველწლიურად 75 ათას ახალგაზრდას ეხმარება ისწავლოს ან სტაჟირება გაიაროს ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში.

პროგრამა **ERASMUS**, რომელსაც მე-16 საუკუნის ჰოლანდიელი ჰუმანისტის ერასმე როტერდამელის საპატივცემულოდ ეწოდა ეს სახელი, შეიქმნა 1987 წელს. პროგრამის დანიშნულებას წარმოადგენდა ევროპაში მთელი მსოფლიოდან საუკეთესო სტუდენტების მოზიდვა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის პარტნიორული ურთიერთობების ამოყალიბება. 2003 წელს ევროკავშირის ქვეყნები შეუდგნენ უმაღლესი განათლების რეორგანიზაციის ახალ პროგრამას **Erasmus Mundus**¹⁶. **Erasmus Mundus**-ის პირველი ეტაპი დასრულდა 2008 წელს. ამ დროისთვის პროგრამის ფარგლებში ორ მილიონზე მეტმა სტუდენტმა გაიარა სტაჟირება ევროკავშირის წევრი ქვეყნების სხვადასხვა უნივერსიტეტებში (3 თვიდან ერთ წლამდე ვადით). პროგრამამ შესაძლებელი გახადა უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა და კავშირების გაფართოება, აგრეთვე ხელი შეუწყო სტუდენტთა მობილობას. ევროკომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პროგრამა გაგრძელდეს უფრო მეტი შემდგომშიც, რაც გულისხმობს 2012 წლისთვის კიდევ 3 მლნ-მდე სტუდენტის მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში.

„ცოდნის ევროპა“ ამჟამად ფართოდაა აღიარებული, როგორც სოციალური და ინდივიდუალური ზრდის უცვლელი ფაქტორი და ევროპის მოქალაქეების

¹⁵ Leonardo da Vinci Programme. (http://ec.europa.eu/education/lifelong-learning-programme/doc82_en.htm)

¹⁶ Erasmus Mundus - Scholarships and Academic Cooperation. (http://ec.europa.eu/education/external-relation-programmes/doc72_en.htm)

კონსოლიდაციისა და სულიერი გამდიდრების აუცილებელი კომპონენტი. მას შეუძლია მისცეს თავის მოქალაქეებს საჭირო კომპეტენცია ახალი ათასწლეულის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად და იმის შეგრძნება, რომ ისინი იზიარებენ ერთიან ღირებულებებს და ეკუთვნიან საერთო სოციალურ და კულტურულ სივრცეს.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირმა უყურადღებოდ არ დატოვა აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესები განათლების სფეროში თანამშრომლობის მხრივაც. შეიქმნა პროგრამა, რომელიც ხელს უწყობდა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტების თანამშრომლობას. ეს არის პროგრამა TEMPUS.¹⁷ პროგრამა დამტკიცდა 1990 წლის მაისში. ამ პროგრამის იდეა იყო დახმარებოდა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტებს უმაღლესი განათლების თავისუფალი და ეფექტიანი სისტემის აღდგენაში, თანამშრომლობაში. აღნიშნული პროგრამის მიზანს შეადგენდა უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზაცია, უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება, პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების პოტენციალის ამაღლება, ადამიანური რესურსების ეფექტიანი გამოყენება და სხვადასხვა კულტურებს შორის კავშირების გაძლიერება. პროგრამას დიდი წარმატება ჰქონდა. მონაწილე ქვეყნების რიცხვი 1993 წლისთვის 5-დან 11-მდე გაიზარდა. პროგრამით განსაზღვრული მიზნების შესრულების ვადად დადგენილი იყო 2007 წელი. მაგრამ შემდეგ ამ პროგრამის ვადები გაგრძელდა, შემუშავდა 2007-2013 წლების პროგრამა. იგი ითვალისწინებს საქმიანობის სამ მიმართულებას: ერთობლივი პროექტები, სტრუქტურული ღონისძიებები და თანმხლები ღონისძიებები (ინფორმაციის გავრცელება, კონფერენციების მოწეობა და ა.შ.).

¹⁷ Tempus is the European Union's programme which supports the modernisation of higher education in the Partner Countries of Eastern Europe, Central Asia, the Western Balkans and the Mediterranean region, mainly through university cooperation projects

3. ევროკავშირის ინოვაციური პოტენციალის, კრეატიული და ცოდნა-ინტენსიური ეკონომიკისა და საზოგადოების ამოყალიბება

3.1. ნაბიჯები ინოვაციების საერთოევროპული სივრცისკენ

იმ გარემოების ერთ-ერთი მიზეზი, რომ ევროკავშირის ინოვაციური პოტენციალი არ არის სრულად გამოყენებული, არის ის, რომ სათანადოდ არაა შეფასებული ინოვაციების მნიშვნელობა საზოგადოებისათვის. ეს ის სფეროა, სადაც წვერი ქვეყნების მთავრობებმა ყველა დონეზე უნდა იმოქმედონ სწრაფად. ამ დაბრკოლების გადალახვა საშუალებას მისცემს ევროკავშირს გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯები ინოვაციის ერთიანი ევროპული სივრცის შესაქმნელად. განათლება წარმოადგენს ამის ერთ-ერთ საამისო წინაპირობას. უპირველეს ყოვლისა, განათლების, როგორც ძირითადი პოლიტიკის გარეშე, ინოვაციები დარება მხარდაჭერის მიღმა. ლისაბონის სტრატეგიის მიხედვით იგი ადრეულ ასაკში უნდა წახალისდეს.

2009 წელს ევროკომისიამ განსაზღვრა ის ძირითადი კომპეტენციები, რომლებიც სასიცოცხლოდ აუცილებელია თანამედროვე, ინოვაციებზე ორიენტირებული საზოგადოებისთვის. მათ მიეკუთვნება სამეწარმეო უნარები ფართო გაგებით, განათლების გავრცელება, ენების ცოდნა, კომპეტენციები და უნარები სამეცნიერო და მათემატიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში¹⁸.


კოორდინაციის ღია მეთოდის (Open Method of Coordination - OMC)¹⁹ საშუალებით ევროკომისია მხარს დაუჭერს განათლების სისტემის მოდერნიზაციასა და რესტრუქტურირებას, რათა შესაძლებელი გახდეს ამ კომპეტენციების მიღება. ზოგიერთი შედეგი სახეზეა. მაგალითად, ევროსტატის მონაცემებით ბოლო დროს მიღწეულ იქნა მათემატიკოსთა აბსოლუტური რიცხოვნობის ზრდა.²⁰

¹⁸ http://ec.europa.eu/enterprise/policies/innovation/index_en.htm.

¹⁹ იხ. თავი I

²⁰ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2008:0652:FIN:en:PDF>

2009 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე ევროსაბჭომ მოამზადა მიმართვა²¹ განათლების, კვლევისა და ინოვაციების - სრულად ფუნქციონირებადი ცოდნის სამკუთხედის (იხ. ნახ. 2.1) შესაქმნელად, რომელშიც ევროპის ინოვაციური პოტენციალის, კრეატიული და ცოდნა-ინტენსიური ეკონომიკისა და საზოგადოების ამოსაყალიბებლად შემუშავდა რიგი ღონისძიებების. რომლებსაც დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ.



ნახ. 2.1. „ცოდნის სამკუთხედის“ მოდელი

3.2. განათლების, კვლევისა და ინოვაციების პოლიტიკებს შორის თანხმობის განვითარება

ცოდნის სამკუთხედის თითოეული ნაწილის შესაბამისი პოლიტიკის შეთანხმებული წარმართვის მოთხოვნილება განსაზღვრავს, რომ განათლების, სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების პოლიტიკა ერთმანეთს უნდა ავსებდეს. კოორდინაციის ღია მეთოდით გათვალისწინებული ანგარიშგების ფარგლებში, ევროკომისიამ ევროსაბჭოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია განათლების, სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების სფეროში ცოდნის სამკუთხედის ინტეგრაციის მიმართულებით გატარებული ღონისძიებების შესახებ. ანგარიშში უნდა მოხდეს დაბრკოლებების გამოვლენას და დაისახოს შემდგომი სრულყოფა-განვითარების გზები. ევროპის ინოვაციური პოტენცია-

²¹ NOTICES FROM EUROPEAN UNION INSTITUTIONS AND BODIES. Conclusions of the Council and of the Representatives of the Governments of the Member States, meeting within the Council, of 26 November 2009 on developing the role of education in a fully- functioning knowledge triangle, (2009/C 302/03). pp.4-5. (<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2009:302:0003:0005:EN:PDF>).

ლის, კრეატიული და ცოდნა-ინტენსიური ეკონომიკისა და საზოგადოების ამოყალიბების მიზნით, **ევროკომისიამ** შეიმუშავა შემდეგი ღონისძიებები:

- პედაგოგიური რეფორმების და ქარება

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ კადრების სწავლებასა და მომზადებას საიმისოდ, რათა განათლების ყველა დონეზე (მათ შორის დოქტორანტურაშიც) სასწავლო პროგრამები, სწავლების და შეფასების მეთოდები მოიცავდნენ და ხელს უწყობდნენ შემოქმედებითობას, ინოვაციებსა და მეწარმეობას. აღნიშნულის მიღწევის ერთ-ერთი გზაა ისეთი სასწავლო პროგრამების შემუშავება, რომლებიც შეიქმნება მუდმივი თანამშრომლობის საფუძველზე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, სამრეწველო და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად.

- პარტნიორული კავშირების გაძლიერება უნივერსიტეტებს, ბიზნესსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის

ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოები და კომისია ოპერატიულად უნდა პასუხობდნენ საბჭოს იმ დასკვნებს, რომლებიც მომზადდა 2009 წლის 12 მაისის²² სხდომის შედეგად და მოიცავდა უწყვეტი განათლების კონტექსტში საგანამანათლებლო, კვლევით დაწესებულებებსა და სოციალურ პარტნიორებს (მ.შ. დამსაქმებლებს) შორის ურთიერთთანამშრომლობის გამყარების ღონისძიებებს. ამ კუთხით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უმაღლესი განათლების სისტემის პერსონალის მობილობას უნივერსიტეტებსა და უნივერსიტეტებსა და ბიზნეს სექტორს შორის. თანამშრომლობა „უნივერსიტეტი-ბიზნესი“ უნდა გადრმაგდეს საუნივერსიტეტო განათლების, სამეცნიერო კვლევისა და ინოვაციების სტრატეგიების შემადგენელი ნაწილის სახით.

²² NOTICES FROM EUROPEAN UNION INSTITUTIONS AND BODIES; Council conclusions of 12 May 2009 on a strategic framework for European cooperation in education and training ('ET 2020') (2009/C 119/02); Official Journal of the European Union 28.5.2009. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2009:119:0002:0010:EN:PDF>.

**- ღონისძიებების შემუშავება უმაღლესი განათლების დაწესებულებებში
ინოვაციური კულტურის განვითარების მიზნით**

წევრმა სახელმწიფოებმა ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ ინოვაციური კულტურის შესამუშავებლად. კერძოდ, უნდა შეიქმნას უფრო დინამური და ინტერაქტიული სწავლების პირობები და სტიმულები პერსონალისათვის, რათა მან მონაწილეობა მიიღოს ინოვაციური ასპექტის მქონე პროექტებში. ინსტიტუციონალური სტრუქტურების მიერ დაფინანსებისა და სტიმულირების მექანიზმები მიმართული უნდა იყოს კულტურული ცვლილებების ხელშესაწყობად ისე, რომ წარმოებასთან თანამშრომლობა ადქმული იყოს, როგორც კარიერაში წინსვლის მნიშვნელოვანი ფაქტორი. აღიარებული უნდა იყოს უმაღლესი განათლების ლიდერობის უდიდესი როლი „ინოვაციური კულტურის“ განვითარების მხარდაჭერის საკითხებში.

**- უნივერსიტეტებისთვის სტიმულების შემუშავება ცოდნის გადაცემის
წასახალისებლად**

წევრმა-სახელმწიფოებმა უნდა შეისწავლონ არსებობს თუ არა ადეკვატური სტიმულები უნივერსიტეტებში საიმისოდ, რათა განვითარდეს ცოდნის ის მიმართულებები, რომლებიც საჭიროა ეკონომიკისთვის ინოვაციური პროდუქტისა და მომსახურების შესაქმნელად. უნდა შემუშავდეს სამართლებრივი ნორმები, მართვის სტრუქტურები და გამოიძებნოს ფინანსები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალ მოგებას ასეთი სახის ცოდნის გამოყენებისა და გადაცემის შედეგად. წევრი-სახელმწიფოები უნდა შეეცადონ, რათა შეიმუშაონ თავისი ინსტიტუტების ფუნქციონირების ისეთი არ ოები, რომლებიც, უნივერსიტეტებისთვის სრული ავტონომიის მინიჭების გზით, უზრუნველყოფს ბარიერებისა და დაბრკოლებების ლიკვიდაციას. უნივერსიტეტებმა უნდა შეიმუშაონ სათანადო კონკრეტული სტრატეგიები ცოდნის მიღების, განვითარებისა და გადაცემის უზრუნველსაყოფად.

- ხარისხის შეფასების ახალი ფორმები

წევრმა სახელმწიფოებმა ერთობლივად უნდა შეიმუშაონ უმაღლესი განათლების განვითარების კრიტერიუმები, რომლებშიც გათვალისწინებული უნდა იყოს სწავლისა და განათლების პროცესის ინტეგრირება სამეცნიერო კვლევებსა და ინოვაციებთან. უნდა შეფასდეს, თუ რამდენად წარმატებულია

უმაღლესი განათლების დაწესებულებათა პოლიტიკა საიმისოდ, რათა სტიმული მიეცეს შემოქმედებითობასა და სამეწარმეო მიდგომას, სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში სამომავლო გამოყენებას.

- ინოვაციისა და ტექნოლოგიის ევროპული ინსტიტუტის, როგორც მომავლის მოდელის განვითარება

ევროკავშირის დონეზე ინოვაციისა და ტექნოლოგიის ევროპული ინსტიტუტი (The European Institute of Innovation and Technology - EIT)²³ წარმოადგენს პირველ ინიციატივას, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია ცოდნის სამკუთხედის ყველა მხარის შეთანხმებულ ურთიერთშემოქმედებაზე. ის უნდა განვითარდეს, საუკეთესო პრაქტიკული მაგალითის ფორმით ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოებისთვის უმაღლესი განათლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ბიზნეს სექტორის, როგორც ცოდნის სამკუთხედის სამი მხარის ეფექტიანი ინტეგრაციის მაგალითი. ევროკომისიამ ინფორმაცია, აღნიშნული საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, უნდა მიაწოდოს წევრი-სახელმწიფოებს.

აღსანიშნავია, რომ 2010 წლის შემდგომი პოლიტიკა განათლებას განსაზღვრავს, როგორც ცოდნის სამკუთხედის საფუძველს და ხაზს უსვამს იმის აუცილებლობას, რომ სამკუთხედის ყველა მონაწილემ ერთმანეთს აუბას მხარი. განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ აუცილებელი კომპეტენციების განვითარებაში, რაც ცოდნის სამკუთხედის სასურველ დონეზე ფუნქციონირებისთვისაა საჭირო. ევროკომისია ყურადღებას ამახვილებს იმის უზრუნველყოფაზე, რომ განხორციელდეს ყოველმხრივი თანამშრომლობა და კოორდინაცია ევროპული უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების სტრატეგიის, ევროპული სამეცნიერო კვლევების სივრცის²⁴ (European Research Area - ERA) და ინოვაციების სფეროს ინიციატივებზე. ევროკომისია ითვალისწინებს რა 2010 წლის შემდგომი პერიოდის ზრდისა და დასაქმების სტრატეგიის მოთხოვნებს,

²³ <http://eit.europa.eu/about-eit>.

²⁴ იხილეთ კოორდინაციის ღია მეთოდის განმარტებაში.

მუშაობს იმ საკითხებზე, თუ როგორ მოხდეს სტრუქტურული ფონდების²⁵ გამოყენება ისე, რომ ინიციატივა - განათლება, როგორც ცოდნის სამკუთხედის საფუძველი, განსაკუთრებულად იყოს მხარდაჭერილი.

3.3. ევროპული თანამშრომლობის სტრატეგია განათლების

სფეროში 2020 წლამდე: მიზნები და პრინციპები

2020 წლამდე პერიოდში ევროპული თანამშრომლობის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს წევრ სახელმწიფოებში განათლებისა და გადამზადების სფეროს შემდგომ განვითარებას. ამ მიმართულებით მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ევროსაბჭოს 2009 წლის 12 მაისის სხდომაზე შემუშავდა დოკუმენტი – *განათლებისა და გადამზადების სფეროებში ევროპული თანამშრომლობის სტრატეგიული არ-პროგრამა*, სადაც განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული მიზნები²⁶:

მიზანი №1: უწყვეტი განათლებისა და მობილობის რეალობად გადაქცევა

უწყვეტი განათლება და მობილობა დაკავშირებული დემოგრაფიულ ცვლილებებთან, ეკონომიკური და სოციალური პირობების განახლებასთან, მოითხოვს უნარების მუდმივად განვითარებას და უწყვეტი განათლების მიდგომის ამოყალიბებას. უწყვეტი განათლების თანმიმდევრული და ყოვლისმომცველი სტრატეგიის განხორციელების დროს აუცილებელია სწავლების შესაბამისი არ-ოების საფუძველზე განვითარდეს ნაციონალური საკვალიფიკაციო არ-ო და უზრუნველყოფილი იყოს მათი კავშირი საერთოევროპულ საკვალიფიკაციო არ-ოებთან. შემუშავდეს სწავლების უფრო მოქნილი ფორმა. უწყვეტი განათლების მნიშვნელოვანი ელემენტია მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების მობილობა, რაც უნდა იყოს არა გამონაკლისი, არამედ – წესი. საამისოდ *ხარისხის მობილობის ევროპული ქარტია*²⁷ უნდა იქნეს გამოყენებული.

²⁵ structuruli fondebi

²⁶ სქოლიო 20, ვგ. 12.

²⁷ ხარისხის მობილობის ევროპული ქარტია

მიზანი №2: განათლებისა და ტრენინგის ხარისხისა და ეფექტიანობის

ამაღლება

განათლებისა და გადამზადების სისტემის ხარისხის ამაღლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ევროპის წარმატებისა და ინდივიდთა დასაქმების შესაძლებლობების ზრდისთვის. ამ მიმართულებით უმთავრესი ამოცანაა მოქალაქეებისთვის ძირითადი კომპეტენციების მიღების უზრუნველყოფა განათლებისა და ტრენინგის ყველა დონეზე. ეს ევროპას საშუალებას მისცემს შეინარუნოს ძლიერი გლობალური როლი. ამის მისაღწევად უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საბაზისო უნარ-ვევების დონის ამაღლებას, რაც მათემატიკის, მეცნიერებისა და ტექნიკისადმი დაინტერესების ზრდით უნდა განხორციელდეს. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს თავად სწავლების დონის ამაღლებასა და მასწავლებელთა მომზადების სისტემის სრულყოფა-გაუმჯობესებას. ასევე მნიშვნელოვანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯმენტის ეფექტიანობის პრობლემების გადაწყვეტის გზების გამონახვა.

მიზანი №3: თანასწორობის, სოციალური ერთობისა და აქტიური სამოქალაქო პოზიციის წახალისება

განათლების სისტემისა და ტრენინგების გამოყენებით, ყველას უნდა მიეცეს საშუალება, შრომითი მოწყობისა და ცოდნის დონის შემდგომი ამაღლების მიზნით, მათი პირადი, სოციალური ან ეკონომიკური პირობების მიუხედავად, მთელი ცხოვრების მანძილზე შეძლონ როგორც კონკრეტული ვევების განახლება, ისე ძირითადი კომპეტენციების განვითარება. განათლების სისტემამ ხელი უნდა შეუწეოს კულტურათაშორისი კომპეტენციების, დემოკრატიული ფასეულობებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემას, ასევე გარემოს დაცვის მოთხოვნების ცხოვრებაში გატარებას.

მიზანი №4: განათლებისა და ტრენინგის ყველა დონეზე სამეწარმეო

საქმიანობის ათვლით, შემოქმედებითობისა და ინოვაციურობის ამაღლება

პირადი თვითრეალიზაცია და შემოქმედებითობა ითვლება ინოვაციების წყაროდ. შემოქმედებითობასა და ინოვაციურობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეწარმეობისათვის. იგი ევროპის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი საფუძველია. სასწავლო დაწესებულებების გაფართოებამ სამოქალაქო

საზოგადოების წევრთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით, ხელი უნდა შეუწყოს შემოქმედებისთვის სასურველი კლიმატის შექმნასა და პროფესიული და სოციალური მოთხოვნების ჰარმონიულ შეთავსებას.

ამავე დოკუმენტში ამოყალიბებულია ხუთი კრიტერიუმი, რომლებიც წევრი-სახელმწიფოებისთვის რაოდენობრივად განსაზღვრავენ ნაციონალურ დონეზე სამოქმედო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს 2020 წლისთვის. ეს მაკენებლები მოცემულია ცხრილში 2.1.

ცხრილი 3.1. ევროპული თანამშრომლობის 2020 წლამდე სტრატეგიის ძირითადი მაკენებლები განათლების სფეროში

№	მაჩვენებელი	სტრატეგიით განსაზღვრული მაჩვენებლის დონე
1.	უწყვეტი განათლების სისტემაში ზრდასრულთა მონაწილეობის მაკენებელი ²⁸	მინიმუმ 15%
2.	15 წლის ასაკში საბაზო უნარებში (კითხვა, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) ჩამორჩენილთა წილი ²⁹	15%-ზე ნაკლები
3.	30-34 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში უმაღლესი განათლების მქონე პირთა წილი ³⁰	მინიმუმ 40%
4.	არასრული საშუალო და არასრული პროფესიული განათლების მქონე პირთა წილი ³¹	10%-ზე ნაკლები
5.	სკოლამდელ განათლებაში ართული 4 წლამდე და სასკოლო ასაკის მქონე ბავშვთა წილი ³²	95% მაინც

ევროსაბჭომ მიიწვია ევროკომისია, ზემო ამოთვლილი ამოცანების გარდა, უმაღლესი განათლების სფეროში მობილობის, დასაქმების შესაძლებლობის ამაღლებისა (ამ მიმართულებებით საჭირო ღონისძიებების განსაზღვრის ბოლო ვადა – 2010 წლის ბოლო) და ორი უცხო ენის ბავშვობის ასაკიდან სწავლების (ვადა - 2012 წლის ბოლო) შესახებ საკითხების განხილვის მიზნით. განსაზღვრული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და ნაციონალურ რეფორმებში ეფექტიანი წვლილის შეტანის

²⁸ 25-64 წლის ასაკის მქონე მოსახლეობაში უწყვეტი განათლების სისტემაში მონაწილეობის პროცენტული მაკენებელი

²⁹ წყარო: OECD/PISA

³⁰ იმ 30-34 წლის მოსახლეობის ხვედრითი წილი, ვინც წარმატებით დაამთავრა უმაღლესი განათლების სისტემა (ითვლება ISCED 5 და 6 დონეები) (EUROSTAT, UOE).

³¹ იმ 18-24 წლის მოსახლეობის წილი ვისაც აქვს არასრული საშუალო ან უფრო დაბალი დონის განათლება და არ იმყოფება სწავლის ან გადამზადების პროცესში.

³² EN 28.5.2009 Official Journal of the European Union C 119/7.

მიზნით ევროკომისიის გადაწყვეტილებით 2020 წლამდე აუცილებელია შემდეგი პრინციპების დაცვა:

- ა) განათლებისა და ტრენინგების სფეროში ევროპული თანამშრომლობა უნდა განხორციელდეს უწყვეტად, კოორდინაციის ღია მეთოდის საშუალებით და სინერჯის მიღწევით განათლებისა და გადამზადების სხვადასხვა სექტორებში;
- ბ) განათლებისა და გადამზადების სფეროში ევროპული თანამშრომლობა უნდა იყოს კონკრეტული. მან უნდა უზრუნველყოს ნათლად გამოხატული და ხილული შედეგების დადგომა, რომლებიც რეგულარულად უნდა განიხილებოდეს და ქმნიდეს უწყვეტი შეფასებისა და განვითარების საფუძველს;
- გ) პროფესიული განათლებისა და გადამზადების სფეროში კოპენჰაგენის პროცესი³³ წარმოადგენს კოორდინაციის ღია მეთოდის არ ოში ევროპული თანამშრომლობის მნიშვნელოვან ასპექტს;
- დ) უმაღლესი განათლების მოდერნიზაციისა და უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის განვითარების მიმართულებით წვერი სახელმწიფოების მხარდაჭერა, ბოლონის პროცესთან მჭიდრო კავშირში. აღნიშნული ეხება ხარისხის უზრუნველყოფის, აღიარებისა და მობილობის საშუალებებს.
- ე) ევროკავშირის ინიციატივები განათლებისა და გადამზადების სფეროში უნდა განხორციელდეს სექტორებს შორის თანამშრომლობის მიმართულებით, რომლებიც მოიცავენ დასაქმებას, მეწარმეობას, სოციალურ პოლიტიკას, ახალგაზრდებთან ურთიერთობის პოლიტიკასა და ზოგადად კულტურას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცოდნის სამკუთხედის შემადგენელი მხარეების ურთიერთქმედებას;
- ვ) მოქნილი ფუნქციონირებადი თანამშრომლობა, ახალი, გამჭოლი მეთოდები ქსელების შესაქმნელად, აუცილებელია არა მარტო ევროკავშირის შესაბამის ინსტიტუტებში, არამედ ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის, ვისაც ხელეწიფება შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი პოლიტიკის, მისი განხორციელებისა და შეფასების შემუშავებაში;

³³ კოპენჰაგენის პროცესი

- ზ) უნდა გაძლიერდეს პოლიტიკური დიალოგი და თანამშრომლობა, რათა მოხდეს ახალი იდეების წყაროების მოძიება და მიღწეული შედეგების შედარება;
- თ) ევროპული სტრუქტურული ფონდებიდან ფინანსური რესურსების მიღების აუცილებლობის პირობებში შესაძლებელია მათი დაფინანსება განათლებისა და ტრენინგების საერთო სტრატეგიული მიზნებისა და წევრი-სახელმწიფოების პრიორიტეტების შესაბამისად.

4. ინოვაციისა და ტექნოლოგიის ევროპული ინსტიტუტი

იმის მიუხედავად, რომ ევროპაში განათლების ერთ-ერთი საუკეთესო სისტემა და ძლიერი კვლევითი ინსტიტუტები არსებობს, ისინი ხშირად იზოლირებული არიან ბიზნესის სამყაროსგან და ვერ აგროვებენ ინოვაციისთვის აუცილებელ „კრიტიკულ მასას“. ინოვაციისა და ტექნოლოგიის ევროპული ინსტიტუტი³⁴ (The European Institute of Innovation and Technology - EIT) წარმოადგენს ახალი მიდგომის საფუძველზე ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის საშუალებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ინოვაციისა და ტექნოლოგიის ევროპული ინსტიტუტი წარმოადგენს პირველ ევროპულ ინიციატივას სრულად მოახდინოს „ცოდნის სამკუთხედის“ (უმაღლესი განათლება, კვლევა, ბიზნესი-ინოვაცია) სამივე კომპონენტის ინტეგრირება. ეს ნიშნავს, რომ ინოვაციისა და ტექნოლოგიის ევროპული ინსტიტუტი ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებს, კვლევით ცენტრებს, ბიზნესსა და ინოვაციების სხვა ფაქტორებს საშუალებას მისცემს გაიზარდონ, გამოიმუშაონ კონკურენტულ გარემოში არსებული გამოწვევების გადაწყვეტის უნარ- ვეგები და მოახდინონ თავისი ინოვაციური პოტენციალის კაპიტალიზაცია.

ბიზნესზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე, მისი საგანმანათლებლო კომპონენტის საშუალებით, ინოვაციისა და ტექნოლოგიის ევროპული ინსტიტუტი ხელს შეუწყობს მეწარმეთა ახალი თაობის აღზრდას, რომლებსაც ექნებათ სათანადო ცოდნა და უნარ- ვეგები საიმისოდ, რომ იდეები გარდაქმნან ბიზნესის ახალ შესაძლებლობებად.

³⁴ სქოლიო 7.

2008-2013 წლებში ინსტიტუტის, მისთვისთვის გამოყოფილი 300 მლნ ევროს მეშვეობით შექმნის ცოდნისა და ინოვაციის გაერთიანებებს (The Knowledge and Innovation Communities - The KICs); რომლებიც ეფექტიანად მოახდენენ იდეების, ტექნოლოგიების, კულტურისა და ბიზნესის მოდელების გადაცემას, არსებული დარგებისა და ახალი წამოწყებებისთვის აღმოაენს ბიზნესის ახალ სახეობებს.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად ინოვაციისა და ტექნოლოგიის ევროპული ინსტიტუტის ორგანიზაციული სტრუქტურა იმოქმედებს ორი მიმართულებით:

1) შვიდი წლის მანძილზე მმართველი საბჭო დაადგენს სტრატეგიულ პრიორიტეტებს მომავალი ანუ „სტრატეგიულ ინოვაციებს“, მათი გრძელვადიანი საფინანსო უზრუნველყოფით. პირველი ამონათვალი ევროპარლამენტისა და კომისიის საბჭოსთვის წარდგენილი იქნება 2011 წლის ივნისში.

2) მმართველთა მიერ ცოდნისა და ინოვაციის გაერთიანებები (The KICs) შვირ ევიან სტრატეგიულ საფუძველზე, რაც უპასუხებს ევროკავშირის ამოცანებს. პირველი-სამი თემა იქნება:

1. ცვალებად კლიმატთან ადაპტაცია-შეგუება;
2. განახლებადი (მდგრადი) ენერჯია;
3. სამომავლო საინფორმაციო-საკომუნიკაციო საზოგადოება.

2010 წლის 2-3 ივნისს; ბარსელონაში ოფიციალურად აღინიშნება ზემოაღნიშნული სამი გაერთიანების დაფუძნება.³⁵

5. ცოდნის სამკუთხედი – კლასტერის განვითარებული ფორმა

კლასტერების ქვეშ იგულისხმება „კომპანიების ჯგუფი, მათთან დაკავშირებული გეოგრაფიულად ახლოსმდებარე ეკონომიკური სუბიექტები, რომლებმაც მიაღწიეს საკმარის მასშტაბს საიმისოდ, რომ შემუშავდეს და ჩამოყალიბდეს ახალი ცოდნა, მომსახურება, რესურსები, მიწოდება და უნარ-ჩვევები“³⁶.

³⁵ <http://eit.europa.eu/about-eit/events/single-view/article/kic-launch-conference.html>.

³⁶ <http://www.euractiv.com/en/innovation/competitiveness-clusters/article-182167>.

კლასტერების პოლიტიკა მოიცავს ლისაბონის სტრატეგიაში გათვალისწინებულ ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებას, მკვლევართა მობილობასა და ინოვაციებში ინვესტირებას და სხვა. ცოდნის სამკუთხედზე დაფუძნებული საინოვაციო პოლიტიკა, კერძოდ ის, რომელიც ინოვაციისა და ტექნოლოგიის ევროპულმა ინსტიტუტმა უნდა განავითაროს *ცოდნისა და ინოვაციის გაერთიანებების* ფორმით, სრულად თავსებადია კლასტერების პოლიტიკასთან. ცოდნის სამკუთხედი არის კლასტერის განვითარებული, დახვეწილი ფორმა, ვინაიდან კლასტერიც და ცოდნის სამკუთხედიც ეკონომიკაში ძალებს ერთი და იმავე მიმართულებით წარმართავენ.


თანამედროვე გამოკვლევებში მითითებულია კლასტერების დონეზე მოქმედი ფაქტორები:

1. **მრეწველობა** (მომხმარებლები, მიმწოდებლები, დაკავშირებული დარგები, მცირე და საშუალო საწარმოები, მომსახურება); 2. **სამთავრობო დაწესებულებები**, ადგილობრივი მმართველობა (თვითმმართველობები), სააგენტოები; 3. **ფინანსები** (ბანკები, ვენჩურული კაპიტალი, ბიზნეს-ანგელოზები); 4. **უნივერსიტეტი** (კოლეჯები, ტექნოლოგიების გადაცემის ოფისები, ლაბორატორიები, ტექნოლოგიური პარკები); 5. **მედია**; 6. **ურთიერთ-თანამშრომელი ორგანიზაციები** (ფორმალური და არაფორმალური ქსელები, სავაჭრო ორგანიზაციები, კლასტერის ორგანიზაციები)³⁷.

საზოგადოდ, კლასტერის კონცეფცია იწვევს აზროვნების განსაკუთრებული ფორმის განვითარებას, მას შეუძლია პოლიტიკა მიმართოს მრავალ სფეროში, კერძოდ: მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარებისკენ, განათლებასა და პროფესიულ მომზადებაზე, ექსპორტსა და უცხოურ ინვესტიციებთან თანამშრომლობაზე, რაც ნაჩვენებია ნახ. 1-ზე³⁸.

³⁷ <http://www.cluster-research.org/redbook.htm>.; Orjan Solvell, Clusters - Balancing Evolutionary and Constructive Forces; ISBN 978-91-974783-3-5. p.16.

³⁸ Маикл Портер – Конкуренция; Издательский дом «Вильямс»; Санкт-Петербург, Москва, Киев; 2002.с.263



სქემა 1. კლასტერები და ეკონომიკური

ევროკავშირის საგანმანათლებლო სივრცისთვის მნიშვნელოვანია ის კლასტერები, რომლებშიც უნივერსიტეტები თამაშობენ გადამწყვეტ როლს. კარგი მაგალითია კემბრიჯის უნივერსიტეტის ტექნოპოლი.

ჩანართი 1

კემბრიჯის მაღალი ტექნოლოგიების კლასტერი (იგივე კემბრიჯის უნივერსიტეტის ტექნოპოლი - **The Cambridge Technopole**³⁹) მსოფლიო სტანდარტის ერთობად ჩამოყალიბდა ბოლო 30 წლის მანძილზე. გაერთიანებულ სამეფოს ქალაქებს შორის კემბრიჯს ყველაზე მაღალი მაკონეზი აქვს ინოვაციებში და ევროკავშირის მიერ აღიარებულია, როგორც ინოვაციების საუკეთესო ცენტრი. კლასტერი ეყრდნობა ინოვაციური ტექნოლოგიების მქონე მრავალი მცირე კომპანიების ჯგუფს, რომელთათვისაც დამახასიათებელია „ქვემოდან ზემოთ“ განვითარების ხაზი. აქ 1500-მდე საწარმოში დასაქმებულია 43 000 კაცი და მისი გეოგრაფიული არეალი მოიცავს ქალაქ კემბრიჯს და მის გარშემო 25 მილის რადიუსის ზონას. მეცნიერებატევადი დარგები უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილების 1/3-ს. კლასტერი ინგლისის აღმოსავლეთით მდებარეობს, იმ რეგიონში, რომელიც ყველაზე დინამიკური ზრდის ტემპით ხასიათდება, რაც სწორედ კემბრიჯის ტექნოპოლის არსებობის შედეგია. კლასტერის უპირატესობები ეფუძნება

³⁹ <http://www.ifm.eng.cam.ac.uk/ctm/teg/cambridgetechnopole.html>.

წარმატებებს მაღალ ტექნოლოგიებსა და სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში.

„თვლიან, რომ კემბრიჯის მაღალი ტექნოლოგიების კლასტერის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია:

- კვლევისა და განვითარებითვის ხელშეწყობა შედეგების კომერციალიზაციის მიზნით;
- მეწარმეთა კონსულტაცია და სათანადო ზედამხედველობის უზრუნველყოფა;
- კლასტერის ძირითადი უპირატესობების მხარდაჭერის მიზნით უცხოელი ინვესტორების მიზანმიმართული მოზიდვა;
- საიმედოობისა და სიმყარის უზრუნველყოფის მიზნით მაღალ-ტექნოლოგიური ემბრიონული ადგილობრივი საწარმოების განვითარება;
- ბიზნესის მოთხოვნების შებამისი პროფესიული კდრების მომზადება“⁴⁰.

5. დასკვნა

ევროკავშირში განათლების რეფორმირება ორი ურთიერთშეთანხმებული სტრატეგიით იმართება – *ბოლონიისა და ლისაბონის*. უკანასკნელში დასახული განათლების მიზნები პირდაპირაა დაკავშირებული საინოვაციო პროცესების გაძლიერებასთან, ხოლო პირველში ფაქტიურად იგივე მიზნები იყო დასახული. მეცნიერთა და სტუდენტთა მობილობის ზრდა, ამის უზრუნველყოფელი სასწავლო პროგრამების შეთანხმება და ურთიერთ-ადიარება, ერთგვაროვანი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემოღება, უცხო ენების ბავშვობიდან შესწავლა, ანუ ის ღონისძიებები, რომელიც ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შინაარსს შეადგენს და ძლიერ ევროინტეგრაციულ ინსტრუმენტს წარმოადგენს, ევროკავშირში აქტიურად ტარდებოდა ბოლო 10 წლის განმავლობაში როგორც ევროკავშირის, ასევე წევრი ქვეყნების დონეზე. უწყვეტი განათლება – სწრაფად ცვალებადი ტექნოლოგიური გარემოს მიმართ მოსახლეობის ადაპტირების გარანტია – იყო ევროკომისიისა და ეროვნული მთავრობების ყურადღების საგანი. სამუშაოთა დიდი მოცულობა შესრულდა ევროკავშირის გაფართოების პროცესში ახალი ქვეყნების განათლების საერთოევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისთვის. აგრეთვე, შესრულდა დიდი სამუშაო მსოფლიოს ქვეყნების, მათ შორის მეზობელი ქვეყნების უნივერსიტეტების მეცნიერთა და

⁴⁰ <http://www.gcp.uk.net/downloads/SRES09-12.pdf>. p.33-34.

სტუდენტთა ევროკავშირის უნივერსიტეტებში სტაჟირების გასაფართოებლად. ასეთია მიმართულებებისა და ღონისძიებების არასრული ამონათვალი.

ცოდნის სამკუთხედის კონცეფციის ეფექტიანად ასამუშავებლად სპეციალური მექანიზმი – ინოვაციისა და ტექნოლოგიის ევროპული ინსტიტუტი – შეიქმნა და, გარდა ამისა, მრავალი *კლასტერული ინიციატივა* იყო მხარდაჭერილი ევროკომისიის, ეროვნული და რეგიონული მთავრობების მიერ (რომელთა შორის, განათლების კონტექსტში, განსაკუთრებული ადგილი უნივერსიტეტების ირგვლივ შექმნილ კლასტერებს უკავიათ).

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დასახული მიზანი ვერ შესრულდა. მაგალითად, იმის გამო, რომ ლისაბონის სტრატეგიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი – კვლევაზე ხარჯების მშპ-ს 3%-ზე აყვანა - ვერ იქნა მიღწეული. ამან შეაფერხა მეცნიერთა მობილობის სასურველ დონემდე ზრდა და, რაც მთავარია, როგორც კვლევითი, ასევე საგანმანათლებლო სივრცის მიმზიდველობა მსოფლიოსთვის.

ამავე დროს, შთამბეჭდავია სტუდენტთა მობილობის მაჩვენებლები. 2003-2008 წლებში 2 მლნ ევროპელმა სტუდენტმა ისწავლა ევროკავშირის სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში. 2012 წლამდე ისწავლის კიდევ 3 მლნ (რაც სტუდენტთა 18%-ს ნიშნავს). ეს არ იქნა თავს მყისიერად, მაგრამ საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში დიდი შედეგებია მოსალოდნელი. საგანმანათლებლო სივრცის პროგრესი, მიუხედავად ხარვეზებისა, თვალნათლივია.

ზემოაღნიშნულმა წარმატებებმა განაპირობეს ის, რომ უკვე 2009 წელს იყო მიღებული 2020 წლამდე განათლების სფეროს განვითარების სტრატეგია (საინოვაციო სტრატეგიის სხვა მიმართულებები ჯერ ბოლომდე განხილული არაა), რომელიც არსებული მიმართულებების გაძლიერებას გულისხმობს.

ლიტერატურა

1. Innovating education, 12-Mar-2009, www.oecd.org/edu.ceri
2. http://www.create2009.europa.eu/about_the_year.html.
3. http://www.eurogates.ru/ru_european_news_education/id/7078/
4. EurActiv, Lisbon Agenda, 2004
5. Leonardo da Vinci Programme, http://ec.europa.eu/education/lifelong-learning-programme/doc82_en.htm
6. Erasmus Mundus - Scholarships and Academic Cooperation, http://ec.europa.eu/education/external-relation-programmes/doc72_en.htm
7. Bologna Process, <http://www.ond.vlaanderen.be/hogeronderwijs/bologna>
8. Lisbon Agenda, <http://www.euractiv.com/en/future-eu/lisbon-agenda/article-117510>
9. European Union web site, The Commission's communication

10. European Union Parliament Website *Lisbon European Council 23 and 24 March Presidency Conclusion*
11. European Parliament web site
12. Réformes structurelles et coordination en Europe", Report to the Prime Minister of France, 2004
13. Supply-side reforms in Europe: Can the Lisbon Strategy be repaired?", Swedish Economic Policy Review, 2006
14. http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference _ Europa needs modernised universities
15. <http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?Frequently Asked Questions : why European higher education systems must be modernised ?>
16. http://ec.europa.eu/public_opinion/flash/fl198_sum_en.pdf , Perceptions of Higher Education Reforms, March. 2007, Europe needs modernised universities, says European Commission
17. European Commission: European strategy and co-operation in education and training (http://ec.europa.eu/education/lifelong-learning-policy/doc28_en.htm)
18. A Strategic Framework for European Cooperation in Education and Training (ET 2020)
19. http://ec.europa.eu/enterprise/policies/innovation/index_en.htm<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2008:0652:FIN:en:PDF>
20. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2009:302:0003:0005:EN:PDF>. NOTICES FROM EUROPEAN UNION INSTITUTIONS AND BODIES, Conclusions of the Council and of the Representatives of the Governments of the Member States, meeting within the Council, of 26 November 2009 on developing the role of education in a fully- functioning knowledge triangle, (2009/C 302/03). pp.4-5.
21. NOTICES FROM EUROPEAN UNION INSTITUTIONS AND BODIES; Council conclusions of 12 May 2009 on a strategic framework for European cooperation in education and training ('ET 2020') (2009/C 119/02); Official Journal of the European Union 28.5.2009
22. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2009:119:0002:0010:EN:PDF>.
23. <http://eit.europa.eu/about-eit>.
24. EN 28.5.2009 Official Journal of the European Union C 119/7.
EUROPEAN COMMISSION Brussels, 2.2.2010 SEC(2010) 114 final **COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Lisbon Strategy evaluation document**
25. http://ec.europa.eu/growthandjobs/pdf/lisbon_strategy_evaluation_en.pdf.
26. http://bookshop.europa.eu/is-bin/INTERSHOP.enfinity/WFS/EU-Bookshop-Site/en_GB/-/EUR/ViewPublication-Start?PublicationKey=KS3009148 .
27. **GBAORD** - Government budget appropriations or outlays on R&D - sums allocated to R&D in central government or federal budgets; this means they refer to budget provisions and not to actual expenditure.
28. <http://eit.europa.eu/about-eit/events/single-view/article/kic-launch-conference.html>
29. http://eit.europa.eu/fileadmin/Content/Downloads/PDF/Background_Information/eit_brochure_en.pdf.
30. http://ec.europa.eu/enterprise/policies/innovation/policy/eit/index_en.htm

31. Commission Communication "Putting knowledge into practice: A broad-based innovation strategy for the EU", COM(2006) 502 final, available at: http://eurlex.europa.eu/LexUriServ/site/en/com/2006/com2006_0502en01.pdf
32. http://www.proinno-europe.eu/NWEV/uploaded_documents/European_Cluster_Memorandum.pdf.
33. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL, THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS Towards world-class clusters in the European Union: Implementing the broad-based innovation strategy. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2008:0652:FIN:en:pdf>
34. <http://www.euractiv.com/en/innovation/competitiveness-clusters/article-182167>.
35. <http://www.hhs.se/csc/Pages/default.aspx>.
36. www.clusterobservatory.eu.
37. <http://www.clusterobservatory.eu/upload/directory.pdf>.
38. <http://www.clusterobservatory.eu/index.php?id=78&nid>.
39. <http://intercluster.eu>.
40. http://intercluster.eu/index.php?option=com_adsmanager&id=9999999&Itemid=316
41. <http://www.competitiveness.org/frontpage/1>.
42. <http://www.proinno-europe.eu/page/european-cluster-alliance>.
43. <http://www.cluster-research.org/redbook.htm>.; Orjan Solvell, Clusters - Balancing Evolutionary and Constructive Forces; ISBN 978-91-974783-3-5. p.16.
44. <http://www.gcp.uk.net/downloads/SRES09-12.pdf>. p.33-34.
45. Майкл Портер – Конкуренция; Издательский дом «Вильямс»; Санкт-Петербург, Москва, Киев; 2002.с.263